საჯარო სამართლის იურიდიული პირი გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტის დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 27

ქ. თბილისი 28 აპრილი 2026 წ.

ყოველკვირეული სემინარების მოსმენის გრაფიკის შესახებ

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“-ს გენერალური დირექტორის №21 (18.02.2016) ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის წესდების მე-6 მუხლის „თ“ პუნქტის და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2026 წლის განმავლობაში სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ყოველკვირეული სემინარების ჩატარების გრაფიკი:

№	სტრუქტურული ერთეული	სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	კვირის დღე	სემინარის ჩატარების დრო
1	მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის საბადოთა დამუშავების და სამთო გეოტექნიკის ლაბორატორია	ნიკა ბოჭორიშვილი	ოთხშაბათი	11:00
2	მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის ანალიზური ქიმიისა და წიაღისეულის გამდიდრების ლაბორატორია	ასმათ შეყილაძე	ხუთშაბათი	14:00
3	მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის საბაგირო სისტემების ლაბორატორია	გიორგი ნოზაძე	ხუთშაბათი	11:00
4	ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზის, ექსპერტიზის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორია	ირაკლი ახვლედიანი	სამშაბათი	11:00
5	ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების პოლიმერული კომპოზიტების და მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორია	სოფიკო კვინიკაძე	ხუთშაბათი	15:00

2. სემინარის საერთო ხელმძღვანელობა, თემატიკისა და მომხსენებელთა შერჩევა განახორციელოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა.

3. სემინარის ჩატარების შესახებ გაფორმდეს სათანადო ოქმი და დაერთოს თანამშრომელთა სია სემინარზე დამსწრე თანამშრომელთა ხელმოწერებით.

4. ხელმძღვანელის არ ყოფნის შემთხვევაში სემინარის ჩატარება უზრუნველყოს მისი მოვალეობის შემსრულებელმა.

5. სემინარზე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა დასწრება სავალდებულოა.

6. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი ნიკოლოზ ჩიხრაძე